ქართულ-სპარსული ურთიერთობების ისტორიიდან

ალექსანდრე ბატონიშვილი

ლევან ასათიანი

თეირანში საქართველოს საელჩო ახალი გახსნილი გვქონდა (ეს კი შორეული 1994 წელია – შარშან ამ თარიღიდან 25 წელი შესრულდა!), როცა, როგორც იტყვიან, „ერთ მშვენიერ დღეს“, საელჩოს პირველ ოფისს (მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა საქართველოს საელჩოს თავისი შენობა და ირანის ისლამური რესპუბლიკისგან დროებით გამოყოფილი ფართით სარგებლობდა), თეირანის ჩრდილოეთ რაიონში, მალექის ქუჩაზე, მოულოდნელი სტუმარი ეწვია. ჩვენი ირანელი დარაჯი აღაიე ჯოუშაყანი მოწიწებით შემოუძღვა საელჩოში მაღალ, ახოვან, ჭარმაგ კაცს, მკვეთრად აღმოსავლური, ამაყი (ოდნავ მედიდური) იერით. უცნობი გაგვეცნო, როგორც აბდი ხოდადადი, ამერიკელი ირანელი, პარკის უნივერსიტეტის პროფესორი.

ჩვენთან სტუმრობა ბატონმა ხოდადადმა თავისი ქართული წარმომავლობის კვლევის სურვილით ახსნა – ოჯახური ლეგენდით, მათი გვარი და წოდება, ხოდადად-გორჯი, ყაჯართა კარზე მოღვაწე ქართველ ბატონიშვილებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

თეირანში ჩვენს საელჩოს გახსნის პირველივე დღეებიდან სტუმრობდნენ ბედის უკუღმართობით სპარსეთში გადახვეწილი, წარმოშობით ქართველთა შთამომავალები, ფერეიდნელები თუ სხვადასხვა მიზეზით სამშობლოს გარიდებული საქართველოს მრავალი მოქალაქე.

ჩემი მასწავლებელი და საქართველოს პირველი ელჩი ირანში, ბატონი ჯემშიდ გიუნაშვილი, სპარსეთში (ოფიციალურად სპარსეთს რეზა შაჰის დროს, 1936 წელს დაერქვა ირანი, უძველესი ინდოევროპელების „არიელების ქვეყანასთან“ კავშირის ხაზგასასმელად) დაბადებული და თეირანის პრესტიჟული „ალ-ბორზის“ გიმნაზიადამთავრებული, გამორჩეული ბიოგრაფიის პიროვნება იყო. მისი მამა, შალვა გიუნაშვილი, წინა საუკუნის 20-იან წლებში სპარსეთში ემიგრანტად დარჩენილი მაღალი კვალიფიკაციის რკინიგზის ინჟინერი, 1947 წელს ოჯახიანად დაბრუნდა სამშობლოში და 1951 წელს, მორიგი რეპრესიული კამპანიის დროს, როგორც ემიგრაციაში ნამყოფი და არასანდო პიროვნება, საბჭოთა საქართველოს შინსახკომმა ოჯახიანადვე გადაასახლა ყაზახეთში. ბატონმა ჯემშიდმა გადასახლებაში დაამთავრა ტაშ-

ჯემშიდ გიუნაშვილი (1931-2017)

კენტის უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1958 წელს დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას.

ბატონი ჯემშიდი კარგად იცნობდა ირანში ემიგრაციაში დარჩენილ ქართველობას, მათ შთამომავლებს, წლების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ფერეიდნელებთან... იმ დღევანდელი სტუმარი კი, ბატონი ხოდადადი, განსაკუთრებული იყო, რადგან, როგორც ამბობდა, იგი შეიძლებოდა ყოფილიყო ერეკლე II-ის შვილის, სპარსეთში გადახვეწილი და იქ უსახელოდ დაკრძალული, ბაგრატიონების დინასტიის აღდგენისათვის დაუღალავად მებრძოლი ალექსანდრე ბატონიშვილის შთამომავალი.

„საქართველოს უგვირგვინო მეფედ“ წოდებულ ალექსანდრე ბატონიშვილზე, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის (დადიანის) ძეზე, უამრავი კვლევა და სამეცნიერო თუ პოპულარული ნაშრომი დაწერილა. ქართველ, სომეხ თუ სპარსელ ისტორიკოსებს სხვადასხვა წარმოდგენა აქვთ მის სპარსეთში მოღვაწეობაზე. ცალკეა შესწავლილი ბატონიშვილის მიმოწერა ირანის შაჰებსა თუ რუს იმპერატორებთან, საიდანაც მკაფიოდ ჩანს მისი დაუოკებელი სურვილი – როგორმე აღადგინოს საქართველოში ბაგრატიონების დინასტია, თუნდაც რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში, რაც მამამისის, ერეკლე II-ის მიერ რუსეთთან დადებული „გეორგიევსკის ტრაქტატით“ უნდა შეენარჩუნებინათ ქართლ-კახეთის მეფეებს. ალექსანდრე წლების განმავლობაში ებრძოდა რუსეთს – ხან ქართველების, კავკასიელებისა თუ განჯელების გაერთიანებულ რაზმებს მეთაურობდა, ხან კი ირან-რუსეთის ომების დროს – სპარსულ რაზმებს. იყო მისი მეფედ მოწვევის მცდელობაც – 1832 წლის აჯანყების წარმატების შემთხვევაში, მეფედ სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილის კურთხევა უნდოდათ ქართველ მამულიშვილებს.

„ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, ნაცვლად კეთილად დაცვისა, ისეთი დაცვა მიიღო სახლმან ბაგრატოვანთამან, რომ ერთი ძეც ბაგრატოვანთა არღარა იპოვების საქართველოსა შინა არა თუ უფლად, არამედ აღარცა თუ სახითა ერთისა კეთილშობილისათა... აღვიფხვრენით ქვეყნითა ჩვენით, რომელსა შინა განვლო შთამომავლობამ ჩვენმა წელნი მეფობისა შინა...“ – სწერდა ალექსანდრე ბატონიშვილი რუსეთის იმპერატორს.

ჩვენ რომ ფერეიდნელ ქართველს ვუწოდებთ, ირანულად „ქართულად მოლაპარაკე ირანელი“ ჰქვია. ისლამური რესპუბლიკის კანონმდებლობაში არ არის ეროვნული უმცირესობის ცნება. ირანი არ ყოფს თავის მუსლიმ მოსახლეობას ეთნიკური ნიშნით, თუმცა ქრისტიანები, იუდეველები და ზოროასტრები (ქართულ ლიტერატურაში – მაზდიანები) კანონით აღიარებული არიან რელიგიურ უმცირესობებად და ირანის პარლამენტში, მეჯლისში, თავთავიანთი კვოტით წარმომადგენლებიც ჰყავთ.

„ვის არ დაუპყრია საქართველო, მაგრამ სამეფო არავის გაუუქმებია, ტახტის ჩამორთმევა არ გვსმენია. ეს შეუფერებელია იმპერატორის ღირსებისათვის...“ – სწერდა ალექსანდრე კავკასიის გუბერნიის მთავარსარდალს, პავლე ციციანოვს (წარმოშობით ქართველ თავად ციციშვილს), სწორედ იმას, რომელმაც რუსეთში გაასახლა ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახი. მამის გარდაცვალების შემდეგ რუსეთში გადასახლებულთა შორის მოხვდა სპარსეთში დაავადებული ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკი – ალექსანდრე ბატონიშვილის ერთადერთი ვაჟი.

„თუკი მათ სურთ, რომ მოვიდე მათთან, დასვან ჩვენი ოჯახის ერთი რომელიმე პირი მეფედ და მაშინ ჩვენ მოვალთ და ვემსახურებით ხელმწიფეს...“ – სწერდა ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრე ბაგრატიონს.

„ჩვენს საცოდავ მეფეებს ეგონათ, რუსეთს ბაბაიას თუ დაუძახებენ, ეშველებოდათ მათაც და საქართველოსაც. მოტყუვდნენ. ბაბაიამ საქართველოც შეჭამა და მათი დინასტიაც. ბაგრატიონთა გვარი სამად დაჰყო – გრუზინსკებად, მუხრანსკებად და იმერეტინსკებად და საერთოდ გააქრო ისტორიის ასპარეზიდან“ (აკაკი ბაქრაძე).

მოჰამედ რეზა ფეჰლევი (1919-1980)

რუსეთის იმპერიას კი საქართველოსთან დაკავშირებით თავისი მიზნები ჰქონდა – იმდროინდელი სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, ქართული სამეფო გვარის ყველა წარმომადგენელი, რომელსაც შეიძლება პრეტენზია ჰქონოდა საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიის მმართველობის აღდგენისა, რუსეთში გადაასახლეს. მათ შორის აღმოჩნდა ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი ერეკლეც, რომლის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატიონთა ამ შტომ შეწყვიტა არსებობა.

XIX საუკუნის დასაწყისში, ფაქტობრივად, საბოლოოდ გაუქმდა ქართული სამეფო მმართველობა, ჯერ – ქართლ-კახეთში, შემდეგ – იმერეთსა და დანარჩენ საქართველოში. სამაგიეროდ, ქართველი თავადაზნაურობა რუსულ საიმპერატორო წოდებრივ იერარქიაში ჩაეწერა და ყველა იმ პრივილეგიით სარგებლობის საშუალება მიეცა, რასაც საიმპერატორო კარი უწყალობებდა. რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე I-ის ტიტულებს კი დამატა კიდევ ერთი – „Царь Грузинский!“.

მეფე ერეკლე ხელს აწერს გეორგიევსკის ტრაქტატს

ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკი
(1827-1882)

ფაქტი კი ერთია – ერთ დროს სპარსეთს დიდი პატივით შეხიზნული „გურჯისტანის ვალი“ (ერეკლესათვის მინიჭებული ტიტული სპარსეთში შაჰმა ალექსანდრე ბატონიშვილსაც უბოძა) – ალექსანდრე ბატონიშვილი, ირანის მმართველის ფათ ალი შაჰის შვილის – აბას-მირზას (აბას-მირზამ, ყაჯართა ტახტის მემკვიდრემ და აზერ-ბაიჯანის ველაიათის ბეგლარბეგმა მჭიდრო კავშირი დაამყარა საქართველოს რუსეთთან შეერთებით უკმაყოფილო ქართველ ფეოდალებთან, რომელთა ერთი ნაწილი თავრიზში, აბას მირზას კარზე, ალექსანდრე ბატონიშვილს ახლდა) უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი, ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ, სიცოცხლის ბოლოს კარის ინტრიგებში გახვეული და სპარსეთის ახალი შაჰის (მუჰამედ-შაჰ-ყაჯარის) პირველი ვეზირის – ჰაჯი მირზა აღასის მიერ ათვალწუნებული, უსახსროდ და უმიწაწყლოდ დარჩენილი, 1844 წელს გარდაიცვალა და რადგან ქართულად ეპიტაფიის დამწერი თეირანში იმხანად ვერავინ მოინახა, დღესაც სადავოა მისი უწარწერო საფლავის სავარაუდო ადგილმდებარეობა.

1990-იან წლებში ქართულ პრესაში ფართოდ განიხილებოდა ალექსანდრე ბატონიშვილის საქართველოში გადმოსვენების საკითხი – მკვლევრები ამტკიცებდნენ, რომ არსებობდა მისი ანდერძი, რომლის მიხედვითაც, ბატონიშვილი ითხოვდა, გარდაცვალების შემდეგ მისი ნეშტი საქართველოში გადმოესვენებინათ. სამწუხაროდ, ეს ანდერძი ვერ შესრულდა, უფრო იმიტომ, რომ მისი საფლავის ზუსტი ადგილმდებარეობა ჯერაც უცნობია. სამაგიეროდ, ეს პატივი ალექსანდრე ბატონიშვილის შვილს, ერაკლეს, ერგო – რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული ქართველ ბაგრატიონთა პირდაპირი შთამომავალი სვეტიცხოვლის ეზოში, ეკლესიის მარჯვენა მხარეს, დიდი პაპის საფლავთან ახლოს, არის დაკრძალული.

ზოგი მკვლევრის აზრით, ალექსანდრე ბატონიშვილი თეირანში დაკრძალეს. სავარაუდოდ, მისი სადა, უწარწერო საფლავი თეირანის ბაზრის ტერიტორიაზე არსებული, იმ დროს ერთადერთი ქრისტიანული – სომხური ეკლესიის სამხრეთ კარიბჭესთან უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ვერც ბატონმა ჯემშიდმა და ვერც მე, რომელსაც 2004-2009 წლებში თეირანში საქართველოს ელჩობა მხვდა პატივად, სომხური ეკლესიის ეზოში მის საფლავს ვერ მივაკვლიეთ. არც ეკლესიის დავთარში აღმოჩნდა რაიმე ჩანაწერი ან მინიშნება ბატონიშვილის საფლავის ად-

ფათ ალი შაჰი
(1772-1834)

აბას-მირზა
(1789-1833)

გილმდებარეობის შესახებ. წმინდა თათევოსის სამოციქულო ეკლესიის ეზოში მრავალი ქრისტიანის საფლავია – ეტყობა, ირანში XIX საუკუნეში გარდაცვლილ ევროპელთა უმრავლესობა, სხვა ქრისტიანული ეკლესიების არარსებობის გამო, სწორედ აქ არის დაკრძალული. ყველა საფლავი აღრიცხული და მოვლილია. მათ შორის არის ალექსანდრე ბატონიშვილის ქალიშვილის საფლავის ქვაც, რუსული და სომხური წარწერებით, რომ აქ არის დამარხული (ან დაკრძალული) ქართველი უფლისწულის ალექსანდრეს ასული ელისაბედი.

ქართველი დიპლომატები და აღმოსავლეთმცოდნეები წლების განმავლობაში ეძებდნენ ბატონიშვილის საფლავის შესაძლო ადგილსამყოფელს. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მისი საფლავი შესაძლოა იყოს ან ირანის აზერბაიჯანში, სადაც მან სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა, ან მაზანდარანში, სადაც მას შაჰის ნაჩუქარი პატარა მამულიღა ჰქონოდა შერჩენილი.

ერთი პერიოდი ვფიქრობდით სომხური ეკლესიის ეზოს კედელთან, თავისი ქალიშვილის საფლავთან ახლოს, მემორიალური დაფა გაგვეკეთებინა წარწერით – აქ დაკრძალულია ქართველი უფლისწული ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაგრატიონი). ამ საქმეში დახმარებას დაგვპირდა თეირანის სომხური სამოციქულო ეკლესიის ხელმძღვანელი, მეუფე სებო სარქისიანი (რომ ამ საკითხს ირანის შესაბამის სამსახურებთან შეათანხმებდა), რომლის ხელშეწყობითაც ამ საკითხს სომხურ საცავებში ვიკვლევდით. საბოლოოდ მისი დახმარება აღარ დაგვჭირვებია, რადგან ეკლესიის ეზოში ბატონიშვილის საფლავს ვერ მივაკვლიეთ.

დავუბრუნდეთ ბატონიშვილისა და ხოდადად-გორჯის (გორჯი – სპარსულად „ქართველი“) შესაძლო ნათესაურ კავშირს. იგი ჩვენი თვალსაწიერიდან საკმაო ხნით გაქრა, რამდენჯერმე ბატონ ჯემშიდსაც ვკითხე, რა იცოდა მის შესახებ – კარგა ხანია აღარ გამოჩენილა, ალბათ ამერიკაში დაბრუნდაო.

2005 წელს, ჩვენს საელჩოში პირველად გამოჩენიდან ათი წლის შემდეგ, უკვე ჩემი თეირანში მეორე მივლინების დროს, ბატონი ხოდადად-გორჯი კვლავ გვესტუმრა. სიმართლე გითხრათ, ამას რაღაცნაირად სულ ველოდი...

ჩვენს კითხვაზე, რაიმე საბუთი ხომ არ ჰქონდა, რაც დაგვეხმარებოდა მისი ქართული წარმომავლობის გარკვევაში, ბატონმა ხოდადადმა გვითხრა, რომ რაღაც საბუთები მისი წინაპრების შაჰის კარზე საქმიანობის შესახებ, სადაც ისინი „ხოდადად-გორჯის“ სახელით იყვნენ, ამერიკაში მის ძმებს ჰქონდათ და დაგვპირდა, რომ მოგვაწვდიდა. კარგა ხნის შემდეგ მან თავის გვართან დაკავშირებული ძველი, XIX საუკუნის, ყაჯართა მმართველობის დროინდელი დოკუმენტები მოგვიტანა, სადაც ვერანაირი მინიშნება მისი წინაპრების ქართული წარმოშობის შესახებ ვერ აღმოვაჩინეთ.

ალექსანდრე ბატონიშვილის ასულ ელისაბედის საფლავი თეირანში, სომხური ეკლესიის ეზოში

ერთადერთი, რისი ამოკითხვაც ამ საბუთებში მოხერხდა, ის იყო, რომ ბატონი ხოდადადის ერთ-ერთი წინაპარი, „მაჰრუმ (ცხონებული) ხოდადად-ხან-გორჯის“ ტიტულით, მაღალი თანამდებობის პირი იყო შაჰის კარზე და ჯერ სტამბოლში სპარსეთის ელჩის, შემდეგ კი შაჰის კარზე ვეზირის („საგარეო“ მიმართულების?) თანამდებობა ეჭირა.

ფრესკა, სადაც გამოსახულია ალექსანდრე ბატონიშვილიც

ბაგრატიონთა გენეალოგიის მკლევართან, ბატონ სოსო ბიჭიკაშვილთან კონსულტაციების შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ ბატონი ხოდადადის წინაპარი ალექსანდრე ბატონიშვილი ვერ იქნებოდა. თეორიულად, შესაძლოა მისი წინაპარი თავრიზში XIX საუკუნის 20-30-იან წლებში ბატონიშვილთან ნამყოფი რომელიმე ქართველი თავადიშვილის შთამომავალი ყოფილიყო, თუმცა ასეთი ქართულ-სპარსული ოჯახების არსებობა ისტორიულ წყაროებში არ დასტურდება.

უკვე წლები დატყობოდა ბატონ ხოდადადს, თუმცა ისევ მხნედ გამოიყურებოდა. ირანში დავბრუნდი, კარგა ხანი აქ ვიქნები და თქვენკენ გამომინია გულმაო, – გვითხრა, ბატონი ჯემშიდიც მოიკითხა. რამდენჯერმე გვესტუმრა, აღმოსავლური წესით, ტკბილეულით ხელდამშვენებული. საინტერესო საუბრები გვქონდა – გაიხსენა ირანის ბოლო შაჰთან, მუჰამედ რეზა ფეჰლევისთან, თავისი ურთიერთობა, როგორ მიიღო ამერიკული განათლების მქონე ახალგაზრდამ შაჰის წამონყებულ „თეთრ რევოლუციაში“ მონაწილეობა, მერე – ირანიდან გადახვეწა ძმებთან და ოჯახთან ერთად...

მიუხედავად იმისა, რომ ვერაფრით დავადგინეთ და დავადასტურეთ ალექსანდრე ბატონიშვილთან მისი გენეტიკური კავშირი, რითაც ოდნავ გულდაწყვეტილიც იყო, ჩემი თეირანში ყოფნის დროს რამდენიმე საღამო გავატარეთ ერთად ჭიქა ღვინით ხელში.

ბევრი რამ აინტერესებდა საქართველოზე და ჩვენც ამ თემებზე ხშირად ვსაუბრობდით. მერე მე, გარკვეული გარემოებების გამო, სასწრაფოდ მომიწია თბილისში დაბრუნება და როგორც გავიგე, ბატონი ხოდადადიც მალე გამგზავრებულა ამერიკაში.

ასე დამთავრდა ურთიერთობა ძალზე საინტერესო ადამიანთან, რომელიც გულწრფელად იყო მოწადინებული თავისი გვარი საქართველოს სამეფო დინასტიასთან დაეკავშირებინა.

აბდი ხოდადად გორჯი

სპარსელისაგან სურვილი, რომ თავისი გვარის წარმოშობის გეოგრაფიაში გარკვეულიყო, ბუნებრივად მოგვეჩვენა. თეირანში ოფიციალური ან არაოფიციალური შეხვედრებისას, როცა რომელიმე მაღალჩინოსან, ხელოვან ან ბიზნესმენ ირანელს გავეცნობოდი, როგორც საქართველოს ელჩი, პატივისცემის გამოხატვის შემდეგ ხშირად ხაზგასმით უთქვამთ, რომ წინაპრები „გორჯესტანიდან“ ჰყავდათ. მგონი, ეს კარგ ტონად ითვლებოდა და მარტო ზრდილობის გამო არ უსვამდნენ ხაზს თავიანთი წინაპრების საქართველოსთან კავშირს.

ცნობილია, რომ საუკუნეების განმავლობაში სპარსეთის შაჰინშაჰების კარზე დაწინაურებული ქართველები, ხშირად სარწმუნოებით შიიტი მუსლიმები (სხვანაირად ვერც დაწინაურდებოდნენ), დიდ როლს ასრულებდნენ სპარსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთან დაკავშირებით ერთი უხერხული შემთხვევა მახსენდება: 2004 წელს, ირანში ვიზიტისას, საქათველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ირანის „მიზანშეწონილობის საბჭოს“ ხელმძღვანელთან, ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტ და მომავალი პრეზიდენტობის რეალურ კანდიდატთან, ჰაშემი რაფსანჯანისთან (სხვათა შორის, იგი თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია) საუბრისას ძმები უნდილაძეები ახსენა და მათ მიერ სპარსეთის ისტორიაში შეტანილ წვლილზე იკითხა, რაზეც რაფსანჯანის რეაქცია მყისიერი იყო – მაშინ ჩვენ ხომ ერთი ქვეყანა ვიყავითო...

დღესაც კი განათლებულ ირანელს საქართველოს მიმართ ისტორიული ნოსტალგია აქვს – მიაჩნიათ, რომ „გორჯესტანი“ ყაჯართა უნიათო პოლიტიკის გამო აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის გალენის ქვეშ. ჩვენი მხრიდან აღა-მაჰმად-ხან ყაჯარის მიერ თბილისის გადაწვისა და მიწასთან გასწორების ხსენებისას ინტელექტუალი ირანელები აუცილებლად გვპასუხობნდენ, რომ აღა-მაჰმად-ხანმა კიდევ უფრო უარესი „სხვა სპარსულ პროვინციებს“ დამართა. მაგალითად, ქერმანში, სადაც ზენდების ბელუჯური დინასტია თავნებობდა, 20 000 კაცს თვალები დასთხარა და 600 მოჭრილი თავისაგან პირამიდა ააგო.

სპარსეთისა და ოსმალეთის მზაკვრობითა და ცბიერებით განთქმულ იმპერიებს კავკასიაში ისეთი კონკურენტი გამოუჩნდათ ჯერ რუსეთის იმპერიის და მერე საბჭოთა კავშირის (იგივე რუსეთის) სახით, რომელმაც კიდევ უფრო „დახვეწილი“ პოლიტიკით საქართველოს ორივე მეზობელი ერთად „ჩაანაცვლა“ და 200 წლით გადაავადა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარება.

როგორც კი ხელსაყრელი ისტორიული და პოლიტიკური ფონი შეიქმნა, 1991 წელს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, საქართვლომ აღიდგინა დაკარგული დამოუკიდებლობა. ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს გეოპოლიტიკა კვლავ ირანის, თურქეთისა და რუსეთის მეზობლობაზე გადის.

აღა-მაჰმად-ხანი
(1742-1797)

ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844)

ვახტანგ გურული

ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის შვილი იყო. მან მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს რუსეთის ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა და თავისუფლებისათვის ბრძოლის, მტერთან შეურიგებლობის სიმბოლოდ იქცა.

ალექსანდრე ბატონიშვილმა განათლება სამეფო კარზე მიიღო. ერეკლე II ენერგიული და მტკიცე ხასიათის ალექსანდრეს ახალგაზრდობიდანვე მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეებს ანდობდა. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში ალექსანდრე ბატონიშვილი ქართლ-კახეთის სამეფო კარზე უკვე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის ლაშქარი ერევნისა და შუშის სახანოებს შეესია. 1795 წლის ივნისში ქართველთა ჯარმა, ალექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობით, ქართლ-კახეთის საზღვრებს მოახლოებული ირანელები დაამარცხა. კრწანისის ბრძოლაში ალექსანდრემ მონაწილეობა ვერ მიიღო. იგი სახადით იყო ავად, იმდენად მძიმედ, რომ თბილისიდან საკაცით გაიყვანეს.

ერეკლე II
(1720-1798)

ალექსანდრე
ბატონიშვილი

ალექსანდრე ბატონიშვილი დედასთან, დარეჯან დედოფალთან ერთად უკმაყოფილო იყო, რომ რუსეთის იმპერია გეორგიევსკის ტრაქტატს (1783) არ ასრულებდა. დარეჯან დედოფალი და ალექსანდრე ბატონიშვილი, რამდენიმე თავადთან ერთად, ერეკლე II-ს პრორუსული ორიენტაციის შეცვლას, გეორგიევსკის ტრაქტატის გაუქმებას და ოსმალეთის მფარველობაში შესვლას ურჩევდნენ. მიუხედავად ანტირუსული განწყობილებისა, ალექსანდრე ბატონიშვილი მამას არ დაპირისპირებია, თუმცა საქართველოში მყოფი რუსეთის რეზიდენტები ალექსანდრეს რუსეთისათვის სახიფათოდ მიიჩნევდნენ. ქართლ-კახეთის სამეფოს მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო გახდა ერეკლე II-ის გარდაცვალების (1798) შემდეგ. სამეფო ტახტზე ერეკლე II-ის უფროსი ვაჟი, გიორგი XII, ავიდა. გიორგი XII-ისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ურთიერთობა თანდათან იძაბებოდა. ალექსანდრე დამღუპველად მიიჩნევდა გიორგი XII-ის პრორუ-

დარეჯან დედოფალი
(1738-1807)

გიორგი XII
(1746-1800)

თეიმურაზ ბატონიშვილი
(1782-1846)

სულ ორიენტაციას და იმას, რომ მეფე რუსეთთან სულ უფრო და უფრო მეტ დათმობაზე მიდიოდა და სუვერენიტეტს თავისი ნებით იზღუდავდა. ძმებს შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ გიორგი XII-მ ალექსანდრე ბატონიშვილს საუფლისწულო მამულების დიდი ნაწილი ჩამოართვა. შეურაცხყოფილი ალექსანდრე თბილისიდან საუფლისწულო მამულ შულავერში გადავიდა და 1800 წლის ივნისში ირანში გაემგზავრა. ირანში ალექსანდრე ბატონიშვილი ირანის უფლისწულმა, ტახტის მემკვიდრე აბას-მირზამ დიდი პატივით მიიღო. ალექსანდრე აბას-მირზას უახლოესი მრჩეველი გახდა. ბატონიშვილის ირანში გადახვეწის მიზეზად სამეფო კარზე მისი შელახული უფლებების აღდგენას ასახელებენ. სინამდვილეში, მისი სამშობლოდან გადახვეწის მიზეზი გიორგი XII-ის პრორუსული ორიენტაცია იყო, რომელსაც სამეფო დაღუპვისაკენ მიჰყავდა. გიორგი XII მძიმედ იყო ავად და პრაქტიკულად სამეფოს მართვა-გამგეობაში ველარ მონაწილეობდა, ქვეყანას რუსი სამხედროები და დიპლომატები მართავდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილი მიხვდა, რომ რუსები ქართლ-კახეთის სამეფოს გასაუქმებლად ემზადებოდნენ და სამეფო კარზე არსებულ დაპირისპირებას მარჯვედ იყენებდნენ. ქართლ-კახეთს შორსმჭვრეტელი და ენერგიული მეფე ესაჭიროებოდა. გიორგი XII-ს არც ერთი ეს თვისება არ გააჩნდა. იგი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას წინ ვერ აღუდგებოდა, პირიქით, მეფე თავისი უნიათობით მოახლოებულ კატასტროფას აჩქარებდა.

კრწანისის ომის ამსახველი სპარსული მინიატურა

ბაგრატ ბატონიშვილი
(1776-1841)

იულონ ბატონიშვილი
(1760-1827)

1800 წლის ნოემბერში ქართლ-კახეთის სამეფოს ომარ-ხანი შემოესია. გადამწყვეტი ბრძოლა 8 ნოემბერს ივრისპირეთში, ნიახურას ველზე მოხდა. ომარ-ხანის ლაშქარში იყო ალექსანდრე ბატონიშვილი. ომარ-ხანს ნიახურას ველზე სულ 10 000 კაცი ჰყავდა, მათ შორის იყო ალექსანდრე ბატონიშვილის 1 500-კაციანი რაზმი 6 ქვემეხით. ბატონიშვილის რაზმში, გარდა მისი ერთგული ქართველებისა, კავკასიელი მთიელები და ყაზახ-ბორჩალოელი თათრებიც ირიცხებოდნენ. ალექსანდრე ბატონიშვილი გიორგი XII-ის ტახტიდან გადასაყენებლად კი იბრძოდა, მაგრამ სამშობლოსათვის საზიანო და უღირსი ქმედებისაგან ყოველთვის იკავებდა თავს. ასე მოხდა ნიახურას ველზეც. ალექსანდრე ელოდა, რომ ქართველთა და რუსთა გაერთიანებულ ლაშქარს მეფე უსარდლებდა. გიორგი XII-ის დამარცხება, შეპყრობა და მისი ტახტიდან გადაყენება – აი, ეს იყო ალექსანდრეს მიზანი! მაგრამ გიორგი XII-ს ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. ჯარს ბაგრატ ბატონიშვილი სარდლობდა. ალექსანდრე ბატონიშვილისათვის ნიახურას ბრძოლამ აზრი დაკარგა. ალექსანდრემ ომარ-ხანსა და სხვა ხანებს ურჩია გენერალური ბრძოლისათვის თავი აერიდებინათ, თავად კი თავისი რაზმი ზურგში გაიყვანა. ნიახურას ველზე ომარ-ხანის დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ალექსანდრე ბატონიშვილის პასიურობა იყო.

ჩაილურის (ნიახურას) ციხე

1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა, 1802 წლის 8 მაისიდან თბილისში რუსული მმართველობა ამოქმედდა. მოხდა ის, რასაც ალექსანდრე ბატონიშვილი წინასწარმეტყველებდა.

1802 წელს კახეთის თავადებმა და აზნაურებმა პოლიტიკური გამოსვლა მოაწყვეს. ისინი გაუქმებული ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას და მეფედ იულონ ერეკლეს ძის გამოცხადებას ითხოვდნენ. დაიწყო თუ არა პოლიტიკური გამოსვლა, ალექსანდრე ბატონიშვილი თავისი რაზმით იმხანად ირანის მიერ დაპყრობილ ჭარ-ბელაქანში შევიდა და კახეთში დაწყებული გამოსვლის მხარდაჭერას იქიდან ცდილობდა. რუსებმა პოლიტიკური გამოსვლა ჩაახშვეს, დამარცხებული კახელი თავადებისა და აზნაურების ნაწილი ალექსანდრე ბატონიშვილთან გაიქცა. 1803 წელს რუსები, ალექსანდრე ბატონიშვილის შეპყრობის მიზნით, ჭარ-ბელაქანში შეიჭრნენ. ამას რუსეთსა და ირანს შორის ურთიერთობის დაძაბვა მოჰყვა, რაც 1804 წელს ირან-რუსეთის ომში გადაიზარდა. ომი 1813 წლამდე გაგრძელდა. ირანის ჯარს ტახტის მემკვიდრე აბას-მირზა სარდლობდა. აბას-მირზას უახლოესი მრჩევლები ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები იყვნენ. ალექსანდრე ბატონიშვილმა მთელი ომის განმავლობაში აქტიურად იბრძოლა, მაგრამ სამშობლოს განთავისუფლება ვერ შეძლო, რადგან ირანი რუსეთთან ომში დამარცხდა. რუსეთ-ირანის ომის პერიოდში ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებმა სცადეს კავშირი დაემყარებინათ ნაპოლეონთან, რათა რუსეთის წინა-



ალექსანდრე I
(1777-1825)

იმპერატორ ალექსანდრე I-ის ტიტულები

რომანოვების გერბი

ყაჯარების გერბი

ბაგრატიონების საშეფო გერბი

აღმდეგ საფრანგეთთან ერთად ებრძოლათ. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, ქართველმა ბატონიშვილებმა საწადელს ვერ მიაღწიეს – საფრანგეთის მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს.

1812 წლის იანვარში კახეთში რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. 6 სექტემბერს ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი რაზმით (1 000 მებრძოლით) მტკვარი გადალახა და სოფელ კავთისხევში შეჩერდა. აქ მას ბევრი თანამოაზრე შეუერთდა. კავთისხევიდან ალექსანდრე თიანეთისკენ გაემართა, სადაც მრავალი თანამებრძოლი ელოდა. 1812 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშქარსა და რუსეთის რეგულარულ ჯარებს შორის სასტიკი ბრძოლები გაიმართა. ქართველებთან ერთად რუსებს ალექსანდრეს ჯარში მყოფი ჩრდილოკავკასიელებიც ებრძოდნენ. სისხლისმღვრელი ბრძოლები იყო სოფელ შილდასთან (1812 წლის 10 ოქტომბერს) და სოფელ ენისელთან (1812 წლის 12 ოქტომბერს). აჯანყებულები რეგულარულ არმიასთან ბრძოლაში დამარცხდნენ. ამის შემდეგ, 1812 წლის 20 ნოემბერს, ალექსანდრე ბატონიშვილმა ალყა შემოარტყა სიღნაღს, მაგრამ დამარცხდა, უკან დაიხია და სოფელ ჩალაუბნის გავლით, სოფელ კაკაბეთში მივიდა. კაკაბეთიდან ალექსანდრე ბატონიშვილი სოფელ მანავისკენ გაემართა. ამ დროისათვის მის ლაშქარში 8 000 მებრძოლი იყო. 1812 წლის 26 ნოემბერს მანავთან უთანასწორო ბრძოლაში ალექსანდრე ბატონიშვილი დამარცხდა.

ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლე მარიამი

კახეთში დამარცხებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა თავი მთებს შეაფარა. 1812 წლის დეკემბერში იგი უკანა ფშავში იყო, საიდანაც შატილში გადავიდა. შატილში ბატონიშვილი ბობღია ჭინჭარაულის კოშკში ცხოვრობდა. რუსები ცდილობდნენ ალექსანდრე ბატონიშვილი ტყვედ აეყვანათ ან მოეკლათ. 1813 წლის გაზაფხულზე რუსების რეგულარული არმიის კოლონა ხევსურეთისაკენ დაიძრა. 30 მაისს რუსები უკვე ხევსურეთში იყვნენ. მათ არტილერიის გამოყენებით მიწასთან გაასწორეს მრავალი სოფელი, მათ შორის შატილიც. ბოლო ბრძოლები სწორედ შატილთან გაიმართა. ხევსურებმა ალექსანდრე ბატონიშვილს ბოლომდე უერთგულეს და ჩრდილოეთ კავკასიაში გადაიყვანეს. 1813 წლის ივნისის დამდეგს ალექსანდრე ბატონიშვილი უკვე ჩეჩნეთში იყო. რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რომ ალექსნდრე ბატონიშვილი ირანში არ დაბრუნებულიყო. დიდოელები რუსეთის მუქარას არ შეუშინდნენ და ბატონიშვილი არ გასცეს. 1818 წელს ალექსანდრე ბატონიშვილმა ირანში, ერევნის სახანოს ტერიტორიაზე, დაბრუნება შეძლო და იქვე დასახლდა. 1820 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი ერევნის მელიქის, სააკ (ისაკ) აღამალიანის ასულ მარიამზე დაქორწინდა, რომელთანაც ვაჟი, ირაკლი, შეეძინა. მას შემდეგ, რაც 1827 წელს რუსეთის ჯარმა ერევანი აიღო, ალექსანდრე ოჯახთან ერთად თეირანში გადავიდა.

ომარ-ხანი მასპინძლობს ალექსანდრე ბატონიშვილს

ალექსანდრე რუსეთის ხელისუფლებასთან შერიგებას არ დათანხმდა და ბრძოლის გაგრძელებისათვის ემზადებოდა. 1826 წელს, რუსეთ-ირანის ომი დაიწყო, ალექსანდრეს იმედის ნაპერწკალი გაუჩნდა. 1826 წელს იგი თავრიზში აბას-მირზას შეხვდა. შეხვედრის შემდეგ ბატონიშვილი საქართველოს საზღვრებისკენ გამოემართა. 1826-1828 წლების რუსეთ-ირანის ომი ისევ რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. ალექსანდრე ბატონიშვილის გეგმები კვლავ განუხორციელებელი დარჩა.

რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლით ალექსანდრე ბატონიშვილმა მთელ საქართველოში გაითქვა სახელი. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 1832 წლის შეთქმულების ორგანიზატორები ალექსანდრეს განიხილავდნენ რუსთაგან განთავისუფლებული საქართველოს მეფედ. ალექსანდრე ბატონიშვილი 1844 წელს, სამშობლოდან შორს, ირანში გარდაიცვალა.

პოლიტიკურ ასპარეზზე მარცხის მიუხედავად, ალექსანდრე ბატონიშვილი საქართველოს ისტორიაში რჩება, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი უფლისწული.

1826 წლის რუსეთ-სპარსეთის ომი